საქართველოს კანონი

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №14(21), 1999 წელი, მუხ. 61) მე-17 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. თუ პირმა, რომელიც კონტრაქტით თანამშრომლობს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებთან, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილეობისას დაჭრის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად მიიღო ტრავმა, რომელიც გამორიცხავს ამ ორგანოებთან მისი შემდგომი თანამშრომლობის შესაძლებლობას, მას შესაბამისი ბიუჯეტის სახსრებიდან მიეცემა ერთდროული შემწეობა 5 წლის ხელფასის ოდენობით. ამასთანავე, აღნიშნულ პირს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის გავლის შედეგად დაენიშნება ის სოციალური პაკეტი, რომლის დანიშვნის საფუძვლადაც საქართველოს კანონმდებლობით პირისთვის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენაა გათვალისწინებული.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**

თბილისი,

26 ივნისი 2025 წ.

N850-IIმს-XIმპ